ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები 2025 | No. 6, 164-190

ISSN2667-9825(online)

# ომის გამართლება, კოლექტიური ნარცისიზმი და კონფლიქტის გადაჭრის სტილები

თეკლა ჯაიანი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ბაკალავრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Tekla Jaiani

# Just war beliefs, Collective Narcissism, and Conflict resolution styles

Tekla Jaiani

Bachelor of the Faculty Psychology and Education, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

„ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

ISSN2667-9825(online)


## აბსტრაქტი

*წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს, როგორ უკავშირდება ომის გამართლება, კოლექტიური ნარცისიზმი და კონფლიქტის გადაჭრის სტილები ერთმანეთს. კონკრეტულად, რა მიმართებები არსებობს კონფლიქტის გადაჭრის ცალკეულ სტილებსა და კოლექტიურ ნარცისიზმს შორის. ამასთან, როგორ უკავშირდებიან ეს უკანასკნელნი უტილიტარული, ბინძური თუ წმინდა ომის გამართლებას. თვითადმინისტრირებადი ონლაინ კითხვარი შეავსო 245-მა ადამიანმა, რომელთა ასაკი ვარირებდა 18-დან 68 წლამდე. მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კოლექტიური ნარცისიზმი დადებითად კორელირებს კონფლიქტის გადაჭრის იძულებით სტილთან. თავის მხრივ, პრობლემის გადაჭრის სტილი უარყოფითად მიემართება ბინძური ომის გამართლებას; ხოლო კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილი დადებით კორელაციაშია ბინძური ომის გამართლებასთან. სქესთაშორისი განსხვავების კვლევისას გამოვლინდა, რომ კაცები უფრო მეტად ამართლებენ უტილიტარულ ომს, ვიდრე ქალები. კვლევის მიხედვით, კოლექტიური ნარცისიზმი არ აღმოჩნდა უტილიტარული, წმინდა თუ ბინძური ომის გამართლების პრედიქტორი.*


***საკვანძო ცნებები:*** *უტილიტარული ომი, ბინძური ომი, წმინდა ომი, კოლექტიური ნარცისიზმი, კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილი,*
*პრობლემის მოგვარების სტილი.*


## Abstract

*This study aimed to examine the relationships between the justification of war, collective narcissism, and conflict resolution styles. Specifically, it sought to investigate the associations between different conflict resolution styles and collective narcissism, and how these variables correlate with the justification of utilitarian, dirty, and holy wars. A self-administered online questionnaire was completed by 245 participants, aged between 18 and 68 years. Statistical analysis revealed that collective narcissism was positively correlated with the forcing conflict resolution style. Conversely, the problem-solving conflict resolution style exhibited a negative correlation with the justification of dirty war. Additionally, the forcing conflict resolution style was positively associated with the justification of dirty wars. Gender differences indicated that men were more inclined to justify utilitarian wars compared to women. The findings of the study suggest that collective narcissism does not serve as a predictor for the justification of utilitarian, just, or dirty wars.*


***Key words:*** *utilitarian war, dirty war, holy war, collective narcissism, forcing, problem solving.*

ISSN2667-9825(online)

## შესავალი

ისტორიულ ნარატივებს რომ გადავხედოთ, ადამიანები ყოველთვის ცდილობდნენ დაედგინათ, რა არის გამართლებული და გაუმართლებელი ომში (Walzer, 1977, p. 3). თუმცა, არსებობდა მოსაზრებაც, რომ ომი მორალური განსჯის მიღმაა და აქ ადამიანის ქცევას მხოლოდ და მხოლოდ გადარჩენის ინსტინქტი მართავს (Walzer, 1977). შესაბამისად, ყოველივე შესაძლოა ეხმიანებოდეს ხალხურ ციტატას - *„ყველაფერი სამართლიანია სიყვარულსა და ომში.“* - და აღნიშნავდეს, რომ ომში ყველაფერი ნებადართულია, თუმცა ცხადია, რომ ეს მოსაზრება ჭეშმარიტებისგან შორსაა. თანამედროვე სამყაროში, ჯარისკაცები მკაცრი ეთიკური კოდექსით უნდა მოქმედებდნენ (Cole, Drew, McLaughlin, & Mandsager, 2009; The U.S. Army, 2016a, 2016b) და საერთაშორისო კანონები არეგულირებს თუ რა ქცევებია დასაშვები შეიარაღებულ კონფლიქტში (International Committee of the Red Cross, 1977, 2005; Henckaerts & Doswald-Beck, 2005). და მაინც, რა არის ომში მისაღები? რატომ მიმართავენ ქვეყნის ლიდერები ომს, როდესაც მისი შედეგები, ნებისმიერ შემთხვევაში, დესტრუქციულია და დიდ დანაკარგთან ასოცირდება? მსჯელობაში ომის გამართლების თეორიას თუ შემოვიტანთ, ერთ-ერთი მორალური მიზეზი შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვისა, სწორედ საკუთარი ქვეყნის ან სხვა სახელმწიფოს დაცვაა (Walzer 2006b [1977], p. 107). თუმცა, სახელმწიფოების ომში ჩართვის მოტივი მხოლოდ თავდაცვა როდია.

აღნიშნული კვლევისთვის იმ ასპექტის განსაზღვრაც რელევანტურია, თუ რატომაც შესაძლოა უჭერდნენ მხარს ან მიმართავდნენ ინდივიდები ამორალურ, ძალაუფლების მოპოვებისკენ მიდრეკილ ომებს. საკითხი შეგვიძლია დავუკავშიროთ კოლექტიურ ნარცისიზმს - რწმენას, რომ ჯგუფი განსაკუთრებულია, თუმცა არასაკმარისად აღიარებული (Golec de Zavala, 2018; Golec de Zavala et al., 2009). ეს დამოკიდებულება ხშირად ხდება ჯგუფთაშორისი მტრობის, ძალადობის, ექსტრემიზმისა და ომის წამახალისებელი ფაქტორი (Golec de Zavala, Dyduch-Hazar, & Lantos, 2019). ეროვნული სიამაყე და ნარცისული განდიდება ხშირად წარმოადგენს ომის მიზნებისა და საერთაშორისო კონფლიქტების გამართლების საბაბს (Golec de Zavala, Dyduch-Hazar, & Lantos, 2019). გარდა ამისა, ომი, როგორც კონფლიქტის გადაჭრის უკიდურესი ფორმა, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია და ბადებს კითხვას, როგორ შეიძლება ძალადობრივი დაპირისპირების თავიდან აცილება, რომლებიც კოლექტიური ნარცისიზმისგან ან ექსტრემიზმისგან წარმოიშვება და ქვეყნის ან მთელი მსოფლიოსთვის კატასტროფული შედეგების მომასწავებელია?

### ომის გამართლების თეორია

ომის გამართლების თეორია ნორმატიული, ფილოსოფიური მიდგომაა, რომელიც ომის მორალური კუთხით აფასებს. ამ ხედვას საფუძველი ჩაეყარა ავგუსტინესა და აკვინელის ადრეულ ფილოსოფიურ ნააზრევში; ხოლო თანამედროვეობაში განავრცო მაიკლ უოლცერმა თავის ნაშრომში ,,გამართლებული და გაუმართლებელი ომები'', რომელიც 1977 წელს გამოაქვეყნდა (5th ed. Published in 2015). ომის გამართლების თეორია ეფუძნება ფუნდამენტურ ხედვას, რომ ომი არის ,,წესებით განსაზღვრული ქმედება, თავისი დაშვებებითა და აკრძალვებით“ (Walzer, 2015, p. 47). ასევე, ის ემყარება ორ ძირითად პრინციპს: (1) ომი შეიძლება, კონკრეტულ პირობებში, იყოს მორალურად

ISSN2667-9825(online)

გამართლებული (*jus ad bellum*) და (2) ომი უნდა იყოს ეთიკურად შეზღუდული (*jus in bello*). შესაბამისად, თეორია ორი მიმართულებით ვითარდება; ერთი მხრივ, განიხილება, თუ როდის არის მიზანშეწონილი ომის დაწყება. ომის ეთიკაში სამართლიანი მიზეზების კონცეფცია ზღუდავს იმ მიზნებს, რომლებიც მორალურად ამართლებენ მასში ჩართვას, ომის პოტენციური სარგებლის, მასშტაბის ან სიმძლავრის გათვალისწინებით. იგი ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ კონკრეტული მიზნები, მაგალითად, როგორიცაა თავდაცვა, შესაძლოა წარმოადგენდეს ომის წამოწყების ლეგიტიმურ მიზეზს და არა რაიმე სახის ეკონომიკური სარგებლის მიღება (MacMahan, 2005). მეორე მხრივ, ყურადღება გამახვილებულია ომის ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებზე, რომელიც არეგულირებს ომში ჩართული მხარეების ქცევას და მიზნად ისახავს ზიანის მინიმუმამდე დაყვანას (Stahn, 2006). ეს წესები, უპირველესად, ეხება მშვიდობიანი მოქალაქეების, დაუცველი ჯგუფების (დაჭრილების), საკუთრებისა და გარემოს შეიარაღებული კონფლიქტის დამანგრეველი შედეგებისგან დაცვას. აღნიშნული ორი პრინციპის შესაბამისად, ომის გამართლების თეორია მიზნად ისახავს არა მხოლოდ მებრძოლთა ქცევის რეგულირებას, არამედ უზრუნველყოფს სტანდარტებს გარე დამკვირვებლებისთვის, რომლებიც ამ ქმედებებს აფასებენ (Watkins, 2020).

ომის გამართლების თეორიის პრინციპები ჩამოყალიბდა მის კონტექსტში მიღებული მორალური გადაწყვეტილებების სიღრმისეული შესწავლით და მას დიდი წვლილი მიუძღვის შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო კანონების ჩამოყალიბებასა (Orend, 2013) თუ თანამედროვე სამყაროს ომების შესახებ დისკურსის განვითარებაში (Coady, 2011; Fiala, 2008; Reeves & May, 2013; Savoy, 2004; Thistlethwaite & Katulis, 2009). როგორც უკვე აღინიშნა, მისი მიზანია გამოკვეთოს შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში მისაღები, კანონიერი პირობები, ქცევები და მისი პრაგმატული მიზნები (Margalit & Walzer, 2009, p. 2). აღნიშნული მოდელის ფარგლებში, გამოკვეთილია რამდენიმე პირველადი მორალური მიდგომა, რომელიც წარმართავს ქცევას ომის დროს. ესენია: დისკრიმინაციის, პროპორციულობისა და არსებითად ამორალური საშუალებების ამკრძალავი პრინციპები. დისკრიმინაციის კონცეფცია წარმოადგენს ერთგვარ მორალურ სახელმძღვანელოს, რომელიც არეგულირებს ომს; საერთაშორისო ჰუმანისტურ სამართალში კი ის აწესებს სამართლებრივ პარამეტრებს და განსაზღვრავს, თუ ვინ არის სამიზნე (Henckaerts & Doswald-Beck, 2005). ამ პრინციპის მიხედვით, მშვიდობიანი მოქალაქეები უნდა იყვნენ დაცულნი (Orend, 2013), ხოლო მებრძოლები, პირიქით, განიხილებიან ლეგიტიმურ სამიზნეებად (Gade, 2010; Kutz, 2005). ემპირიულ კვლევებშიც შემოწმდა, საზოგადოება ეხმიანება თუ არა დისკრიმინაციის პრინციპს. უოტკინსმა და ლაჰამმა (2018) დაადგინეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კვლევის მონაწილეებს უფრო მკაცრი მორალური განსჯა ჰქონდათ ჰიპოთეტური ჯარისკაცების მიმართ (გამოგონილი ქვეყნიდან), რომლებმაც მოკლეს მტრის მშვიდობიანი მოქალაქეები, ვიდრე მოწინააღმდეგე მხარის ჯარისკაცების მკვლელებისადმი. ეს პირდაპირ ეხმიანება დისკრიმინაციის ფილოსოფიურ თუ იურიდიულ იდეას, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის მტერი მებრძოლების სიცოცხლის მოსწრაფება მორალურად ნებადართულად მიიჩნეოდა, ხოლო მშვიდობიანი მოსახლეობის - მიუღებელად. არსებითად, დისკრიმინაციის პრინციპი მიზნად ისახავს ომის ზიანის მინიმუმამდე დაყვანასა და უდანაშაულო ხალხის ხოცვას.

პროპორციულობის პუნქტის მიხედვით, - მებრძოლებმა უნდა ,,გამოიყენონ ძალა მხოლოდ იმ დოზით, რაც საკმარისი იქნება თავიანთი მიზნის მისაღწევად“ (Orend, 2005, 2.2 Jus in bello, para. 6).

ISSN2667-9825(online)

უფრო დეტალურად, სამხედრო მოქმედებით გამოწვეული ზიანი არ უნდა აღემატებოდეს მიღებულ სარგებელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ომის უარყოფითი შედეგები - სიკვდილიანობა, ნგრევა და ა .შ. არ უნდა იყოს უფრო მასშტაბური და მძაფრი, ვიდრე ის შედეგები, რომელთა მიღწევასაც ომი მიზნად ისახავს (MacMahan, 2005). ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ პროპორციულობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ომის სამართლიანი მიზეზით არსებობის კონცეფციასთან. როგორც უკვე აღინიშნა, ომში ლეგიტიმურად ჩართვის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს აგრესიისგან, თავდასხმისგან დაცვა. თუ სამხედრო კონფლიქტის მიზანი არ არის საკმარისად მნიშვნელოვანი, მაშინ მის შედეგად გამოწვეული მცირე ზიანიც კი შეიძლება გაუმართლებელი იყოს (MacMahan, 2005). ბოლო პუნქტი, არსებითად ამორალური საშუალებების გამოყენების აკრძალვა, გულისხმობს იმ ბიოლოგიური და ბირთვული იარაღების მოხმარების შეზღუდვას, რომელიც გლობალურად საზიანო შესაძლოა იყოს მსოფლიოსთვის (Orend, 2013). ზემოგანხილული პრინციპები გამომდინარეობს ომის მორალური განსჯის ღრმა ანალიზიდან, რომელიც სპეციალურად ომის დროს არის შექმნილი.

მაიკლ უოლცერის წიგნის - ,,გამართლებული და გაუმართლებელი ომები“ (1977) - გამოსვლის შემდგომ, გამოიკვეთა ორი დომინანტური ჯგუფი ტრადიციონალისტებისა და რევიზიონისტების, რომლებიც ომის გამართლებასთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებას ემხრობიან, ტრადიციონალისტები მხარს უჭერენ იდეას, რომ სახელმწიფოები შესაძლოა ჩაერთონ ომში ორი ძირითადი მიზეზით: საკუთარი ქვეყნის ან სხვა სახელმწიფოს დასაცავად (Walzer 2006b [1977], p. 107). ის ეყრდნობა რწმენას, რომ მშვიდობიანი მოქალაქეები არასოდეს უნდა იყვნენ მიზანმიმართული სამიზნენი, ხოლო მებრძოლებს, განურჩევლად მათი მოტივისა, აქვთ უფლება დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, თუმცა ესეც მხოლოდ იმ პირობით, თუ მოსახლეობის დაზიანება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი (Lazar, 2017). ასევე, მიდგომის თანახმად მებრძოლები თანასწორნი არიან, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზით იბრძვიან ისინი (Watkins, 2020). მეორე მხრივ, რევიზიონისტები ამყარებენ პოზიციას, რომ ომში მებრძოლების ქცევის მორალური განსჯა უნდა ითვალისწინებდეს მიზეზს, რისთვისაც ისინი იბრძვიან (Lazar, 2017a; McMahan, 2004). შეიარაღებული კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მეომარი ჯარისკაცები არ არიან მორალურად თანასწორნი, რადგან მიზეზის სამართლიანობა ზემოქმედებს მათი ქმედების მორალურად აღქმადობაზე. მებრძოლები, რომლებიც სამართლიანი მიზეზებით იბრძვიან (საკუთარი ქვეყნის თუ ეროვნული ინტერესების თავდაცვა) უფრო ლმობიერად უნდა შეფასდნენ, ვიდრე ისინი, ვინც უსამართლოდ იწყებენ ან ერთვებიან ომში (Watkins, 2020). ეს ორი, ერთი შეხედვით, დიქოტომიური მიდგომა, ფუნდამენტურად განსხვავებულ პოზიციებს გვთავაზობს და მიუხედავად მათი შეუთანხმებლობისა, გარკვეულ საკითხებზე, ორივე ჯგუფი აღიარებს მორალური პრინციპების მნიშვნელობას ძალის გამოყენების გასამართლებლად, თუმცა სხვაობა მათ შორის სწორედ ისაა, თუ როგორი უნდა იყოს ეს პრინციპები და როგორ უნდა გამოიყენონ ის სახელმწიფოებმა პრაქტიკაში.

ომის გამართლების თეორიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო სამართალში შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით (Orend, 2013) და საჯარო დისკურსში თანამედროვე ომებთან მიმართებით (Coady, 2011; Fiala, 2008; Reeves & May, 2013; Savoy, 2004; Thistlethwaite & Katulis, 2009). მისი პრაქტიკული მიზანია ომისა და ძალადობის შეჩერება (Margalit & Walzer, 2009). ასევე, იმ

ISSN2667-9825(online)

მორალური და სამართლებრივი ნორმების დადგენა, რომელიც ხელს შეუწყობს შეიარაღებული კონფლიქტის დროს ზიანის მინიმუმამდე შემცირებას.

## კოლექტიური ნარცისიზმი

ტერმინი, კოლექტიური ნარცისიზმი, პირველად შემოიღეს ფრანკფურტის სკოლის მეცნიერებმა (e.g., Fromm, 1973), ფსიქოანალიზის გავლენით. მის განვრცობაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თეოდორ ადორნოსა და ერიხ ფრომს. ფრომის მიხედვით (1973) ნარცისიზმი გადამეტებულ თვითაღტაცებასა და საკუთარი თავის გადაჭარბებულად შეფასებასთან ასოცირდება, რაც რეალობისადმი „სიბრმავესა“ და უპირატესობის განცდას იწვევს. მის შეხედულებებზე, ინდივიდუალურ ნარცისიზმთან მიმართებით, გავლენა მოახდინა ფროიდის თეორიებმა, რომლის მიხედვითაც ფენომენი განიხილება აშლილობად, რომელიც გამოწვეულია ინდივიდის მიერ სექსუალური ენერგიის ფოკუსირებით შიდა და არა გარე სამყაროზე. ფრომი ვარაუდობს, რომ კოლექტიური ნარცისიზმი ჯგუფურ (არა ინდივიდუალურ) დონეზე აღტაცებულობის აღქმაა. ამის მსგავსად, თეოდორ ადორნო (1997) ამტკიცებდა, რომ ცნება გულისხმობს კოლექტივისთვის იმ მახასიათებლების მიწერას, რომლებიც მის წევრებს აღაფრთოვანებთ, თუმცა რეალურად ის არ აქვთ. ორივე თეორიტიკოსი ვარაუდობს, რომ კოლექტიური ნარცისიზმი დაბალი თვითშეფასების ნიადაგზე ჩნდება და წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ინდივიდთა სოციალურ წრეს საფრთხე ემუქრება. ასევე განავრცობენ, რომ ის ასოცირდება ჯგუფთაშორის მტრობასთან. სწორედ ამ იდეებმა ჩაუყარა საფუძველი საკითხის დეტალურ შესწავლას (Golec de Zavala et al., 2019). ამჟამინდელი შეხედულების თანახმად, ცნება გამოიყოფა ფსიქოანალიზიდან, აღარ აქცენტირდება მის არაცნობიერ საფუძვლებზე და განიხილება, როგორც პიროვნული თვისება (Golec de Zavala et al., 2019).

თანამედროვე განმარტებით, კოლექტიური ნარცისიზმი არის რწმენა ადამიანებისა, რომ მათი ჯგუფი არის განსაკუთრებული და გამორჩეული, თუმცა არასაკმარისად აღიარებული. ის დაკავშირებულია საკუთარი წრის განდიდებულ სიყვარულთან და გარე ჯგუფების მიმართ აგრესიული დამოკიდებულებებით ხასიათდება (Golec de Zavala, 2018; Golec de Zavala et al., 2009). ყოველივე განსხვავებულია კოლექტიური თვითშეფასების შემთხვევაში, რომელშიც ასევე გამოკვეთილია სოციალური წრის მიმართ მძაფრი პოზიტიური დამოკიდებულება, აღიარებისკენ ლტოლვა და უნიკალურობის განცდა, თუმცა, კვლევების თანახმად, არ იკვეთება სხვა კოლექტივების მიმართ მტრული ატიტუტები (Brewer, 1999).

აგნიეშკა ზავალას, დიდუხ ჰაზარისა და დოროთია ლანთოსის (2019) მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ კოლექტიური ნარცისიზმი პროგნოზირებს ჯგუფთაშორის მტრობას და აფერხებს სოციალური წრის კოლექტიურ თვითშეფასებას, პოზიტიურ იდენტიფიკაციასა და ჯგუფთაშორის ტოლერანტობას (Golec de Zavala, Dyduch-Hazar, & Lantos, 2019). საკითხის შესაფასებლად გამოიყენეს კოლექტიური ნარცისიზმის სკალა, რომლითაც გამოიკითხეს ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები (Golec de Zavala et al., 2009); პროფესიული ორგანიზაციები (Galvin, Lange, & Ashforth, 2015); საფეხბურთო გუნდები (Larkin, 2017); ამავე უნივერსიტეტის სტუდენტები (Golec de Zavala, Cichocka, & Bilewicz, 2013a; Golec de Zavala, Cichocka, & Iskra-Golec, 2013b); და ფიქტიური ჯგუფები (Keenan, 2016).

ISSN2667-9825(online)

უფლებამოსილება, მტრობა და წყენა კოლექტიური ნარცისიზმის ცენტრალური ელემენტებია. ზემოხსენებული რწმუნებულებების მქონე ადამიანებს, მიაჩნიათ, რომ ჯგუფი იმსახურებს განსაკუთრებულ აღიარებასა და პრივილეგიებს ისეთი მიზეზების გამო, როგორიც შეიძლება იყოს: ეკონომიკური ძალაუფლება, კულტურული გამოწვევები, რელიგიური კეთილგანწყობა და თუნდაც, განსაკუთრებული ტანჯვა (Golec de Zavala, Dyduch-Hazar, & Lantos, 2019). ეს მიზეზები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა განასხვავებთ მათ (სუბიერქტური შეფასებით) სხვა ჯგუფის წევრებისგან. თუმცა, უფრო ღრმა ანალიზის დონეზე, მათ აქვთ დაბალი თვითშეფასება (Golec de Zavala et al., 2009; Golec de Zavala, Federico, et al., 2019), მაგრამ მაღალი უფლებამოსილების განცდა (Golec de Zavala, Lantos, Bierwiaczonek, & Sedikides, 2020).

კოლექტიური ნარცისიზმი შესაძლოა ექსტრემალურ შემთხვევებშიც გამოიკვეთოს, მაგალითად, ტერორისტებში, რომლებიც მოითხოვენ დასავლეთს ისლამური პრინციპების მიღებას; თუმცა, ის გავლენას ახდენს ნაკლები ინტენსივობის მქონე ქცევებზე, როგორიცაა პოპულისტური პოლიტიკოსების, პარტიებისა და პოლიტიკის მხარდაჭერა (Federico & Golec de Zavala, 2018; Golec de Zavala & Keenan, in press; Forgas & Lantos, 2019). იმის გათვალისწინებით, რომ ფენომენი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში, რელევანტურია მის გამომწვევ მიზეზებზე, შუამავალ ფაქტორებსა და შედეგებზე დაკვირვება. კოლექტიური ნარცისიზმის პრედიქტორ ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს: დაბალი თვითშეფასება, ინდივიდუალური ნარცისიზმი, ჯგუფთაშორისი საფრთხე (რეალისტური, სიმბოლური, გამორჩეულობა, მუქარა ჯგუფის იერარქიაზე დაფუძნებული). მოდერატორ ფაქტორებად გამოკვეთილია ჰიპერმგრძნობელობა კრიტიკის მიმართ, „ალყის მენტალიტეტი“, კონსპირაციული ფიქრები, მტრული ჯგუფთაშორისი მიკერძოებულობა, შურისძიება, ჯგუფშიდა გარიყვა). დაბოლოს, შედეგად ვიღებთ ცრურწმენებს უმცირესობების მიმართ, სექსიზმს, ჯგუფთაშორის მტრობას, საპასუხო აგრესიულობას, ნაციონალიზმს, ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემიზმისა და პოპულისტური პარტიებისა თუ პოლიტიკოსების მხარდაჭერას (Golec de Zavala, Dyduch-Hazar, & Lantos, 2019).

*პოპულიზმი.* ამერიკის შეერთებულ შტატებში 2016 წლის არჩევნების შედეგების გადაწყვეტილებებზე კოლექტიური ნარცისიზმის ფაქტორმაც იმოქმედა. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვების მიზეზი და ყველაზე ძლიერი კორელატი სწორედ რომ კოლექტიური ნარცისიზმი გახლდათ (Federico & Golec de Zavala, 2018; see also Marchlewska et al., 2018). ცხადია, ეს ფაქტორი განიხილებოდა ეკონომიკურ-რასობრივ უკმაყოფილებასთან, ავტორიტარიზმთან და სექსიზმთან ერთად. თუმცა, ამ დამატებითი ცვლადების არსებობის პირობებშიც, კოლექტიურ ნარცისიზმს უფრო ძლიერი გავლენა ჰქონდა ამომრჩეველთა გადაწყვეტილებაზე (Golec de Zavala et al., 2017; Marchlewska et al., 2018). უნგრეთში (Wallen, 2018) პოპულისტური მთავრობების მმართველობის პირობებში, რომელსაც კოლექტიური ნარცისები უჭერდნენ მხარს, ანალოგიურად შეინიშნებოდა ქსენოფობიის უპრეცენდენტო ზრდა; ამერიკაში, ამ კუთხით, გაიზარდა ისეთი ჯგუფების მიმართ წინააღმდეგობა, როგორებიც არიან ემიგრანტები, ეთნიკური და კულტურული უმცირესობები, ქალები და LGBTQ + საზოგადოება (Inglehart & Norris, 2016).

ემპირიული კვლევებიც ცხადყოფს, რომ გაურკვევლობა პიროვნულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით და პოპულისტური რიტორიკების ზემოქმედება, ზრდის ჯგუფების მიმართ

ISSN2667-9825(online)

კოლექტიურ ნარცისისტული დამოკიდებულებებისა და რწმენების არსებობას (Golec de Zavala & Federico, 2018). ექსპერიმენტულმა კვლევამაც დაადასტურა „დატოვების კამპანიაში“ (Leave Campaign) პოპულისტური ნარატივის გავლენა - აბზაცის წაკითხვის შემდეგ, რომელშიც აქცენტი კეთდებოდა დიდი ბრიტანეთის „კომპრომეტირებულ ძალაზე“ ევროკავშირის ძლიერ გავლენასთან დაკავშირებით ბრიტანულ პოლიტიკასთან მიმართებით, გაიზარდა კოლექტიური ნარცისიზმი. მონაწილეებმა, რომლებმაც ნეიტრალური აბზაცები წაიკითხეს, არ გამოავლინეს მისი მაღალი დონე (Marchlewska et al., 2018, Study 2).

გარდა ზემოხსენებული მაგალითებისა, ძალადობრივი ექსტრემიზმის ერთ-ერთ გამოხატულებად შესაძლოა მივიჩნიოთ ომი, რომელიც ასოცირდება მილიონობით ადამიანის (მეომრების თუ მშვიდობიანი მოქალაქეების) გარდაცვალებასთან, საკუთრებისა და გარემოს დაზიანებასთან. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის სახელმწიფომ წამოიწყო ომი უკრაინასთან. გარკვეული სახელმწიფოების პოლიტიკურმა ლიდერებმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს, ჩვენთვის კი რელევანტურია თუ რა წვლილი მიუძღვის კოლექტიურ ნარცისიზმს ამ თვალსაზრისით (Golec de Zavala et al., 2013, 2016). ნაციონალური თვალსაზრისით განხილვისას, კოლექტიური ნარცისიზმი შემდეგნაირად ვლინდება: ადამიანთა ჯგუფები ჰიპერმგრძნობიარენი არიან თავიანთი ქვეყნის წინააღმდეგ გამოხატული მუქარის მიმართ და აფიქსირებენ მტრულ დამოკიდებულებას იმ კოლექტივთა მიმართ, რომლებსაც ისინი საფრთხედ აღიქვამენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება მხარი დაუჭირონ სხვა ჯგუფებზე თავდასხმას თავიანთი ლიდერების მიერ, ეს მცირდება, როდესაც ასეთი ქმედებების სამიზნე მათი ერი ხდება (Golec de Zavala et al., 2013, 2016).

შეჯამებისას, კოლექტიური ნარცისიზმი პროგნოზირებს ჯგუფთაშორის აგრესიას და დაკავშირებულია პოპულისტური პოლიტიკური პარტიებისა და ძალადობრივი მოქმედებების, გარკვეულ პირობებში, მხარდაჭერასთან. ყოველივე რელევანტურია დავაკავშიროთ ომის გამართლების თეორიასთან და ვიკვლიოთ თუ როგორ განისაზღვრება ამ შემთხვევაში ადამიანთა დამოკიდებულებანი.

## კონფლიქტის გადაჭრის სტილი

კონფლიქტის გადაჭრა მოიცავს უთანხმოებებისა და დავების გადაჭრის სხვადასხვა სტილს. ის შეიძლება მრავალი წყაროდან წარმოიქმნას და ჰქონდეს გამოხატვის მრავალი ფორმა, მათ შორის პირადი, რასობრივი, კლასობრივი, კულტურული, იდეოლოგიური, კომუნალური და პოლიტიკური (Wani, 2014). თანამედროვე, დემოკრატიულ საზოგადოებებში აქცენტი კეთდება კონფლიქტების მშვიდობიანი მეთოდებით გადაჭრაზე, რაც გამოკვეთს მოლაპარაკების, თანამშრომლობის, დიპლომატიისა და სხვა სტრატეგიების გამოყენებას. მისი შერჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დონეზეა დაპირისპირება - პირად, თუ საერთაშორისო.

როდესაც საერთაშორისო კონფლიქტები წარმოიქმნება, მისი გადაჭრის მრავალი გზა შეიძლება არსებობდეს, მათგან ერთ-ერთი ომია. მსოფლიო ისტორიის არქივებს რომ გადავხედოთ, სახელმწიფოთა შორის დაპირისპირებას მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-პოლიტიკური საფუძველი და გავლენა ჰქონდა (Sarieva, Gulevich & Nevruev, 2020).

ISSN2667-9825(online)

როგორც უკვე აღინიშნა, დავათა გადაწვეტის მრავალი გზა არსებობს, თუმცა ძალადობრივი გადაჭრის სტრატეგიები და გადაწყვეტილებები უფრო დიდ ყურადღებას იპყრობს. კვლევებიც ცხადყოფს, რომ ადამიანები ისტორიის გარდამტეხი მოვლენების გამოკვეთისას, ძირითადად, ომებსა და რევოლუციებს იხსენებენ (e.g., Liu et al., 2005, 2009; Techio et al., 2010).

კონფლიქტის გადაჭრის სტილზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ინდივიდის იდეოლოგიურმა ორიენტაციამ, განსაკუთრებით, მემარჯვენე ავტორიტარიზმმა და სოციალურ დომინანტურმა ორიენტაციამ. ცრურწმენებისადმი მიდრეკილებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ორმაგი პროცესის მოდელი გვთავაზობს, რომ მემარჯვენე ავტორიტარიზმი (RWA) და სოციალური დომინანტური ორიენტაცია (SDO) გავლენას ახდენს გარე ჯგუფების მიმართ ცრურწმენებით გაჯერებული დამოკიდებულებების არსებობაზე (Duckitt, 2006). კვლევის მიხედვით, RWA იწვევს ნეგატიურ დამოკიდებულებას იმ ჯგუფების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სოციალურ წესრიგს ან სტაბილურობას (Duckitt, 2001, 2006; Pratto, Sidanius, & Levin, 2006); ესეთია დევიაციური ჯგუფები. მეორე მხრივ, SDO იწვევს ნეგატიურ დამოკიდებულებას იმ სოციალური წრის მიმართ, რომელიც დაბალი სტატუსის მქონეა ან სოციალურად დაუცველი, რადგან მათი სურვილი დომინირებაა (Pratto et al., 2006). ორივე კომპონენტი (RWA, SDO) ასოცირდება პრეჯუდისთან, რაც შეიძლება ჯგუფთაშორისი კონფლიქტების გამომწვევი იყოს (Bruneau, Kteily, & Laustsen, 2018; Kteily et al., 2015). გარდა ამისა, მაღალი RWA ან დაბალი SDO-ს მქონე პირები, უფრო მეტად არიან მიდრეკილნი სამხედრო ქმედებების გამართლებისკენ და ჯგუფის წევრებს დეჰუმანიზაციისკენ, რაც შეიძლება საერთაშორისო დაპირისპირებების გამაძლიერებელი ფაქტორი იყოს და საკითხთა მშვიდობიანი გადაწყვეტის ალბათობა შეამციროს (Bruneau, Kteily, & Laustsen, 2018; Kteily et al., 2015). ეს დასკვნები მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანები, რომლებსაც აქვთ მაღალი მემარჯვენე ავტორიტარიზმი და სოციალური დომინანტური ორიენტაცია, უფრო მიდრეკილნი არიან კონფლიქტების მოგვარების აგრესიული და იერარქიული სტრატეგიების გამოყენებისკენ, განსაკუთრებით, ჯგუფთაშორის დაპირისპირებებში, სადაც სოციალური იერარქია და დომინაციის დამტკიცება, მნიშვნელოვან როლს თამაშობს (Duckitt, Wagner, du Plessis, & Birum, 2002).

გარდა იდეოლოგიური ორიენტაციისა, კონფლიქტის გადაჭრის სტილის შერჩევაზე დიდ გავლენას ახდენს პიროვნული თავისებურებები. თომასისა და კილმანის (Thomas & Kilmann, 1974) ინსტრუმენტის გამოყენებით ჩატარებულ კვლევაში დადგინდა, რომ, მაგალითად, ექსტრავერსია (Extraversion) გავლენას ახდენდა ადამიანის გადაწყვეტილებაზე, მიმართავდა თუ არა პრობლემის გადაჭრის კონფლიქტურ სტილს. ხოლო პატიოსნების (Conscientiousness) მაღალი მაჩვენებლის პირები, უფრო მეტად იყვნენ მიდრეკილნი დამთმობი სტრატეგიების გამოყენებისკენ (Wood, 2008).

პიროვნული მახასიათებლის გაგება უფრო ნათელ ფსიქოლოგიურ წარმოდგენას გვიქმნის იმ ინდივიდთა თვისებების შესახებ, რომლებიც უფრო მეტად კონფლიქტური გადაჭრის სტილით ხასიათდებიან; გარდა ამისა, ზემოაღნიშნული იდეოლოგიური ორიენტაცია დაკავშირებულია პრეჯუდისებთან, ჯგუფთაშორის მტრობასთან და სამხედრო ქმედებების გამართლების საკითხებთან, რაც აღნიშნული კვლევის ცვლადებთან თანხვედრაშია.

ISSN2667-9825(online)

## მიმდინარე კვლევა

წინამდებარე კვლევის მიზანი, დაადგინოს ცვლადებს - ომის გამართლებას, კოლექტიური ნარცისიზმსა და კონფლიქტის გადაჭრის სტილებს შორის კავშირი, ემპირიულ მონაცემებსა და კვლევებზე დაფუძნებულ ლოგიკურ მსჯელობას ეყრდნობა. ზემო მიმოხილვაში წარმოდგენილია კვლევები, რომლებიც ადასტურებს, რომ კოლექტიური ნარცისიზმი ხასიათდება ჯგუფის აღქმული უპირატესობითა და საფრთხეების მიმართ ჰიპერმგრძნობელობით (Golec de Zavala et al., 2016), რაც, თავის მხრივ, ხშირად განაპირობებს პოპულისტური პოლიტიკური პარტიებისა და ძალადობრივი ქმედებების მხარდაჭერას (Golec de Zavala, Dyduch-Hazar, & Lantos, 2019). შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ როდესაც ნარცისული ჯგუფები აღიქვამენ საფრთხეს, ისინი უფრო მეტად იქნებიან მიდრეკილნი ომის გამართლებისკენ, მაშინაც თუ ის ასოცირდება ეთიკურად შეუზღუდავ შეიარაღებულ კონფლიქტთან.

უპირველეს ყოვლისა, უტილიტარული ომის გამართლებისას კოლექტიური ნარცისიზმის მქონე ინდივიდები შესაძლოა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ომის სტრატეგიულ სარგებელს მაშინაც კი, თუ თავდაპირველი მოტივი არ არის მორალურად გამართლებული.

რაც შეეხება წმინდა ომს, ნარცისულად მოაზროვნე ჯგუფებს, რომლებსაც ახასიათებთ ექსტრემალური მორალური დაპირისპირება მტრის ჯგუფთან (Golec de Zavala, Dyduch-Hazar, & Lantos, 2019), შესაძლოა, ლეგიტიმურად მიაჩნდეთ შეიარაღებულ კონფლიქტი მაშინაც, თუ ის უკიდურეს ძალადობასთან და მაღალ ადამიანურ დანაკარგთან ასოცირდება.

ბინძური ომის გამართლება განსაკუთრებით საგანგაშო ტენდენციას შეიძლება წარმოადგენდეს, რადგან არსებული მიზეზებიცა და საშუალებებიც მორალურად მიუღებელია. კვლევები ცხადყოფს, რომ კოლექტიური ნარცისიზმის მქონე ჯგუფებმა, რომლებიც მტრის კოლექტივს აღიქვამენ არა მხოლოდ საფრთხედ, არამედ სრულიად დეჰუმანიზებულ სუბიექტად, შესაძლოა, უფრო მეტად გაამართლონ ომი, მიუხედავად მისი ფატალური შედეგებისა (Federico & Golec de Zavala, 2018; Golec de Zavala & Keenan, in press; Forgas & Lantos, 2019). ამგვარად, კოლექტიური ნარცისიზმი შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ პრედიქტორად ომის სხვადასხვა ფორმის გამართლებისთვის. მისი გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როდესაც აღქმული საფრთხე მაღალია და კონფლიქტის მორალური ჩარჩოები ნორმალიზებული აგრესიული იდეოლოგიით ირღვევა.

კოლექტიური ნარცისიზმისა და კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილის კავშირი შეიძლება აიხსნას აღქმული საფრთხის საპასუხოდ აგრესიული და დომინანტური სტრატეგიების გამოყენებით. კვლევები ადასტურებს, რომ კოლექტიური ნარცისიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული გარე ჯგუფებისადმი მტრულ დამოკიდებულებასთან და აგრესიულ ქცევასთან, რაც კონფლიქტის ესკალაციას უწყობს ხელს (Golec de Zavala et al., 2016). შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კოლექტიური ნარცისიზმის ზრდასთან ერთად, კონფლიქტის იძულებითი გადაჭრის ტენდენციაც ძლიერდება.

რაც შეეხება ბინძურ ომსა და კონფლიქტის გადაჭრის სტილებს შორის კავშირს, ვოლისა და ბრენსკომბის (2009) კვლევა გვიჩვენებს, როდესაც ჯგუფი განიცდის საფრთხეს, მისი წევრები უფრო მეტად ამართლებენ პრობლემის გადაწყვეტის ძალადობრივი ქმედებების გამოყენებას (Wohl &

ISSN2667-9825(online)

Branscombe, 2009). კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილიც ასოცირდება ნებისმიერ ფასად საკუთარი მიზნის მიღწევასთან (De Dreu, Evers, Beersma, & et al., 2001), რაც შეიძლება მოიაზრებდეს კიდევაც ამორალური ქმედებების და, თუნდაც ომების, მხარდაჭერას. პრობლემის მოგვარების სტილი კი ამის საპირისპიროა - ის ეფუძნება თანამშრომლობასა და კონსტრუქციული გზით გამოწვევის მოგვარებას (De Dreu, Evers, Beersma, & et al., 2001). ბინძური ომი, როგორც აღვნიშნეთ, მორალურად სრულიად გაუმართლებელია, რადგან ის ხასიათდება შემოუსაზღვრელობით და უხეშად არღვევს ომის გამართლების მორალურ ჩარჩოებს. შესაბამისად, უფრო ალბათურია, რომ ძალადობრივი კონფლიქტის მოგვარების ტენდენციების მქონე ინდივიდი მხარს უჭერდეს არაეთიკურ ომს, ვიდრე პრობლემის შეთანხმებულად გადაწყვეტაზე ორიენტირებული.

კვლევაში, აგრეთვე, გაანალიზებულია დემოგრაფიული მახასიათებლების (ასაკი და სქესი, რელიგიურობა, განათლების დონე), სოციო-ეკონომიკური სტატუსის გავლენა კოლექტიურ ნარცისიზმსა და კონფლიქტის გადაჭრის სტილებზე და რამდენად ცვლის ეს მახასიათებლები ომის გამართლების მიმართ დამოკიდებულებებს. კვლევის ამოცანაა შეამოწმოს ცვლადებს შორის სტატისტიკურ-შინაარსობრივი კავშირები, გააანალიზოს მიღებული შედეგები და შეაფასოს მათი შესაბამისობა არსებული თეორიებისა და კვლევების კონტექსტში.

## კვლევის ჰიპოთეზები

H1: კოლექტიური ნარცისიზმი არის უტილიტარული, წმინდა და ბინძური ომის გამართლების პრედიქტორი.

H2: კოლექტიური ნარცისიზმის ზრდასთან ერთად იზრდება კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილი.

H3: კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილი დადებით კორელაციაშია ბინძური ომის გამართლებასთან.

H4: პრობლემის მოგვარების სტილი უარყოფითად კორელირებს ბინძური ომის გამართლებასთან.

H5: უტილიტარულ და წმინდა ომს კაცები უფრო ამართლებენ, ვიდრე ქალები.

## კვლევის მეთოდები

### მონაწილეები

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, გამოიკითხა 245 რესპონდენტი, სხვადასხვა დემოგრაფიული მახასიათებლის მიხედვით. მათგან 87 გახლდათ ქალი (35.5%), ხოლო 158 მამრობითი სქესის წარმომადგენელი (64.5%). გამოკითხულთა ასაკი ვარირებდა 18-დან 68 წლამდე და მათი საშუალო ასაკი გახლდათ 26.26 წელი. კვლევის მონაწილეები შეირჩნენ ხელმისაწვდომობის პრინციპით.

### კვლევის ინსტრუმენტები

აღნიშნულ კვლევაში თითოეული ცვლადის გასაზომად გამოყენებულია შემდეგი კითხვარები: (1) ომის გამართლების სკალა (Nowak et al., 2022).; (2) კოლექტიური ნარცისიზმის სკალა (Golec de Zavala

ISSN2667-9825(online)

et al., 2009) და (3) კონფლიქტის გადაჭრის სტილის სკალა (De Dreu, Evers, Beersma, & et al., 2001). თითოეული კითხვარი იზომებოდა ლაიკერტის ტიპის სკალაზე.

### ომის გამართლება

იმისათვის, რომ გამოვლენილიყო ინდივიდთა დამოკიდებულებანი ომის გამართლებასთან მიმართებით, გამოვიყენეთ ომის გამართლების 22 დებულებიანი სკალა (Nowak et al., 2022). კითხვარის ვალიდაციისთის, თავდაპირველად, შემუშავდა ორმაგი თარგმანი, რომლის სტატისტიკური ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ კითხვარის სანდოობა გახლდათ ძალიან მაღალი ($\alpha = .927$).

შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული დამოკიდებულებები სამ დონეზეა განხილული: ნებისმიერი ომი შეიძლება იყოს სრულიად გამართლებული, სრულიად გაუმართლებელი ან ნაწილობრივ გამართლებული. ყოველივე კი ლაიკერტის ტიპის 5 ბალიან სკალაზე შეფასდა, სადაც ერთი დიქოტომიური მხარე აღნიშნავდა, რომ რესპონდენტი სრულიად არ ეთანხმებოდა მოცემულ დებულებებს, ხოლო მეორე პოლარობა გახლდათ - სრულიად ვეთანხმები აღნიშნულ დებულებას. აღნიშნულ კითხვარში გამოყოფილი იყო შინაარსები ომის მიზეზებისა და საშუალებების პოზიტიურ-ნეგატიურობის შესაფასებლად. მაგალითად: პოზიტიური მიზეზის კითხვარები, რომელშიც ომის მიზეზი შემოსაზღვრული გახლდათ *(„სხვა ქვეყანაზე თავდასხმა საკუთარ ტერიტორიაზე თავდასხმის საპასუხოდ“)*. ნეგატიური მიზეზები, ომი შემოუსაზღვრელია *(„სხვა ქვეყანაზე თავდასხვმა მათთან სრულიად დემოკრატიული მმართველობის დანერგვის მიზნით“)*. პოზიტიური საშუალება, რაც უშუალოდ გამოყენებული გზების შემოსაზღვრულობას გულისხმობს (*„მტრის ტვირთის განადგურება, რომელიც შეიძლება შეიცავდეს იარაღის წარმოებისთვის საჭირო საშუალებებს“*) და ნეგატიური საშუალება, შემოუსაზღვრელობა *(„ომის წარმოება, როდესაც ადამიანი დარწმუნებულია, რომ მტრის მშვიდობიან მოსახლეობაში იქნება დიდი დანაკარგი“)*.

აგრეთვე, სკალაში გამოყოფილი გახლდათ ოთხი პროფილი: უტილიტარული ომი: პოზიტიური საშუალება, ნეგატიური მიზეზი; სამართლიანი ომი: პოზიტიური საშუალება, პოზიტიური მიზეზი; წმინდა ომი: ნეგატიური საშუალება, პოზიტიური მიზეზი და ბინძური ომი: ნეგატიური საშუალება, ნეგატიური მიზეზი.

### კოლექტიური ნარცისიზმი

კვლევაში გამოყენებულია კოლექტიური ნარცისიზმის სკალა (Golec de Zavala et al., 2009), რომელიც შედგება 9 დებულებისგან. კითხვარში გამოყოფილი კითხვები მიზნად ისახავდა შეემოწმებინა, რამდენად განდიდებულად შესაძლოა აღიქვამდნენ ქართველები თავიანთ სოციუმს და აქვთ თუ არა მათ კოლექტიური ნარცისიზმის მახასიათებლები, როგორიცაა ჯგუფის განსაკუთრებულობის რწმენა და არასაკმარისი აღიარებულობის განცდა (*„ქართველები ვიმსახურებთ განსაკუთრებულ მოპყრობას“, „ბევრ ადამიანს ბოლომდე არ ესმის ქართველი ხალხის მნიშვნელობა“*). მონაწილეებმა დებულებები შეაფასეს ლაიკერტის ტიპის სკალაზე, რომელშიც 1 აღნიშნავდა, რომ მონაწილე სრულიად არ ეთანხმებოდა დებულებას, ხოლო 6 - სრულიად ვეთანხმები დებულებას.

### კონფლიქტის გადაჭრის სტილი

ISSN2667-9825(online)

კონფლიქტის გადაჭრის სტილის საკვლევად გამოყენებული ა კონფლიქტის გადაჭრის სტილის კითხვარი (De Dreu, Evers, Beersma, & et al., 2001). კითხვარის ქართული ვერსიის სანდოობისა და შინაგანი შეთანხმებულობის შესამოწმებლად, ჩატარდა სტატისტიკური ანალიზი, რომელშიც კრონბახის ალფა არც თუ ისე მაღალი გახლდათ (α = .590). აღნიშნული ინსტრუმენტი მოიცავს 20 დებულებას, ნაწილდება 5 სუბსკალაზე. ესენია: დათმობა *(„ვემორჩილები მოწინააღმდეგის სურვილს“, „ვცდილობ მოვერგო მეორე მხარის საჭიროებებს/სურვილებს“)*, კომპრომისი *(„ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ კომპრომისს უნდა მივაღწიოთ“)*, იძულება *(„ვიბრძვი ჩემთვის სასიკეთო შედეგისთვის“)*, პრობლემის მოგვარება *(„მაქსიმალურად ვცდილობ, ვიპოვო ისეთი გამოსავალი, რომელიც კარგი იქნება, როგორც ჩემთვის, ასევე მოწინააღმდეგე მხარისთვის“)* და თავიდან არიდება *(„ვცდილობ თავი ავარიდო სხვებთან დაპირისპირებას“)*. დებულებები შეფასდა ლაიკერტის ტიპის სკალაზე, რომელზეც 1 აღნიშნავდა - „არასდროს“, ხოლო 5 – *„თითქმის ყოველთვის“*.

## დემოგრაფიული ბლოკი

კითხვარში გამოყოფილი იყო სქესის, ასაკის, მიღებული განათლების საფეხურისა, პოლიტიკით დაინტერესებულობისა და რელიგიურობის ბლოკები. ამ უკანასკნელში, რესპონდენტები პასუხს სცემდნენ კითხვას მათი რელიგიურობის შესახებ *(მიუხედავად იმისა, ესწრებით თუ არა რელიგიურ რიტუალებს, ყველაზე მეტად რომელი შეგესაბამებათ?*). მონაწილეთა პოლიტიკური ინტერესის გასაზომად, გამოყენებული იყო ორი კითხვა (*რამდენად დაინტერესებული ხართ პოლიტიკით?*) და (*როდესაც მეგობრებთან ერთად ხართ, განიხილავთ თუ არა პოლიტიკურ საკითხებს?*).

## პროცედურა

კვლევა ეყრდნობა მონაცემებს, რომელიც შეგროვდა თვითადმინისტრირებადი ონლაინ კითხვარის გამოყენებით. გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი - გამოკითხვა, რომელსაც ერთჯერადი ხასიათი ჰქონდა. მონაწილეობის შესახებ თანხმობის სურვილის პირობებში, რესპონდენტებს გაეგზავნათ Google Forms-ის პლატფორმაზე შექმნილი კითხვარის ელექტრონული ვერსია. კითხვარი სტრუქტურირებულია და რესპონდენტებს მიეწოდათ ერთნაირი თანმიმდევრობით, თავისი ინსტრუქციებითა და ყველა საჭირო, დამატებითი ინფორმაციით. კითხვარის შევსებამდე, მონაწილეები ადასტურებდნენ, რომ ისინი დანამდვილებით იყვნენ სრულწლოვნები. აგრეთვე, გამოყოფილი იყო ცალკეული კითხვები დემოგრაფიული მონაცემების მოსაპოვებლად, დანარჩენი კითხვები კვლევის გამოკვეთილ ცვლადებს ეთმობოდა (ომის გამართლება, კოლექტიური ნარცისიზმი, კონფლიქტის გადაჭრის სტილი).

კვლევაში მონაწილეობის მიღება გახლდათ ნებაყოფლობითი და ცდის პირები არ იღებდნენ არანაირ ჯილდოს. მონაცემები სრულიად კონფიდენციალურია. მიღებული მონაცემები დამუშავდება IBM SPSS 25-ის გამოყენებით.

ISSN2667-9825(online)

## შედეგები

**ცხრილი N1.** *დემოგრაფიული ცვლადების აღწერითი სტატისტიკა*

| | M | SD | მოდა | დიაპაზონი |
|---|---|---|---|---|
| **ასაკი** | 26.26 | 9.70 | 21 | 17-68 |
| **ეკონომიკური მდგომარეობა** | 3.17 | .684 | 3 | |
| **რელიგიურობა** | 3.31 | 1.23 | 3 | |
| **პოლიტიკით დაინტერესება** | 3.34 | 1.19 | 3 | |
| **პოლიტიკაში ჩართულობა** | 3.44 | 1.09 | 3 | |

აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 245-მა ადამიანმა, მათგან 87-მა ქალმა (35.5%) და 158-მა კაცმა (64.5%). რესპონდენტთა საშუალო ასაკი შეადგენდა 26.26 წელს (*SD* = 9.70), ასაკობრივი დიაპაზონით 18-დან 68 წლამდე.

რესპონდენტთა უმრავლესობა (57.6%) ბაკალავრიატის განათლების მქონე გახლდათ, 15.1 %-ს საბაზისო განათლება ჰქონდა, 14.7%-ს - მაგისტრის ხარისხი, 10.6%-ს - პროფესიული და მხოლოდ 2%-ს განათლება დოქტორანტურის საფეხურზე.

კვლევის მონაწილეთა ეკონომიკური სტატუსის განხილვისას (*M* = 3.17; *SD* = .684) გამოვლინდა, რომ საშუალო სტატუსის მქონე გახლდათ (60.4%), ხოლო უმცირესობა - საშუალოზე ბევრად მაღალის (2.9%). რელიგიურობის კუთხით (*M* = 3.31; *SD* = 1.23), რესპონდენტთა უმეტესმა ნაწილმა გამოავლინა, რომ არის საშუალოდ რელიგიური პიროვნება (31%) და უმცირესობა (10.6%) არარელიგიური. ინდივიდთა პოლიტიკური დაინტერესებისა (*M* = 3.34; *SD* = 1.19) და ამ საკითხებში ჩართულობის კვლევისას (*M* = 3.44; *SD* = 1.09) გამოვლინდა, რომ უმრავლესობა (30.6%) დაინტერესებულია ამ თემებით და ჩართულობის მხრივ, მხოლოდ 18.8% განიხილავს აქტიურად საკითხს და, ძირითადად (33.5%), მხოლოდ ზოგჯერ ერთვებიან პოლიტიკურ დიალოგებში.

**ცხრილი N2.** *აღწერითი სტატისტიკა და სანდოობის მაჩვენებელი*

| | N | *α* | M | SD |
|---|---|---|---|---|
| **ომის გამართლების სკალა** | | | | |
| **პოზიტიური მიზეზი** | 5 | .682 | 14.16 | 4.06 |
| **პოზიტიური საშუალება** | 5 | .685 | 15.20 | 4.32 |
| **ნეგატიური მიზეზი** | 5 | .799 | 11.07 | 4.16 |
| **ნეგატიური საშუალება** | 5 | .764 | 9.74 | 4.06 |
| **კონფლიქტის გადაჭრის სტილი** | | | | |
| **იძულება** | 4 | .686 | 13.98 | 3.15 |
| **დათმობა** | 4 | .673 | 9.57 | 2.92 |
| **კომპრომისი** | 4 | .696 | 14.24 | 3.04 |
| **პრობლემის მოგვარება** | 4 | .804 | 15.48 | 3.17 |
| **თავიდან არიდება** | 4 | .607 | 12.81 | 2.96 |

ISSN2667-9825(online)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **კოლექტიური ნარცისიზმის სკალა** | 9 | .928 | 32.09 | 8.77 |

α: კრონბახის კოეფიციენტი

კვლევაში გამოყენებული სკალების სანდოობა და შინაგანი შეთანხმებულობა შეფასდა თითოეულის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. შედეგებმა აჩვენა, რომ სკალებსა და სუბსკალებს აქვს მაღალი შინაგანი კონსისტენტურობის მაჩვენებელი (α > .6), რაც მიუთითებს მათ სანდოობაზე.

**ცხრილი N3.** *სქესთაშორისი განსხვავებები*

| | სქესი | N | M | SD |
|---|---|---|---|---|
| **წმინდა ომი** | მამრობითი | 87 | 5.12 | 1.27 |
| | მდედრობითი | 158 | 4.92 | 1.60 |
| **უტილიტარული ომი** | მამრობითი | 87 | 5.70 | 1.10 |
| | მდედრობითი | 158 | 5.08 | 1.61 |

დამოუკიდებელი T-test-ის გამოყენებით ერთმანეთს შედარდა მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა ქულები ცალკეულ სკალაზე. ომის გამართლების ორ პროფილთან მიმართებით (უტილიტარული ომი, წმინდა ომი) სქესთაშორისი განსხვავებების შედარებისას, მხოლოდ ერთში გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა. კონკრეტულად, უტილიტარული ომის გამართლების მაჩვენებელი უფრო მაღალი აღმოჩნდა კაცებთან (*M* = 5.70; *SD* = 1.10), ვიდრე ქალებთან (*M* = 5.08; *SD* = 1.61). t (231.9) = 3.54; p < .001

### კორელაციური ანალიზი

მონაცემთა კორელაციური ანალიზის (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი) შედეგად გამოვლინდა, ცვლადებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები არსებობს. კერძოდ, კოლექტიური ნარცისიზმი დადებითად კორელირებს კონფლიქტის გადაჭრის იძულებით სტილთან. ეს უკანასკნელი - კოლექტიურ ნარცისიზმთან და პრობლემის მოგვარების სტილთან.

- კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილი დადებით კორელაციაშია ბინძური ომის გამართლებასთან.
- პრობლემის მოგვარების სტილი უარყოფით კორელაციაშია ბინძური ომის გამართლებასთან.
- კოლექტიური ნარცისიზმის ზრდასთან ერთად იზრდება კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილი.

### კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილი, პრობლემის მოგვარების სტილი და ბინძური ომის გამართლება

ISSN2667-9825(online)

**ცხრილი N4.** *კორელაცია კონფლიქტის გადაჭრის იძულებით და პრობლემის მოგვარების სტილებსა და ბინძური ომის გამართლებას შორის*

| | კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილი | პრობლემის მოგვარების სტილი |
|---|---|---|
| ბინძური ომი | .135* | -.240** |

**** p ≤ .01; * p ≤ .05**

კორელაციური ანალიზის (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი) შედეგად დადგინდა, რომ კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილი დაბალ დადებით კორელაციაშია ბინძური ომის გამართლებასთან (r = .135, p < .05), ხოლო სუსტ უარყოფით კორელაციაში პრობლემის მოგვარების სტილთან (r = .240, p < .01).

## კოლექტიური ნარცისიზმი და კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილი

**ცხრილი N5.** *კორელაცია კოლექტიურ ნარცისიზმსა და კონფლიქტის გადაჭრის იძულებით სტილს შორის*

| | კოლექტიური ნარცისიზმი |
|---|---|
| კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილი | .310** |

**** p ≤ .01; * p ≤ .05**

კოლექტიური ნარცისიზმი საშუალო დადებით კორელაციაშია კონფქლიტის გადაჭრის იძულებით სტილთან (r = .310, p< .01).

## რეგრესიული ანალიზი

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია), რომ კოლექტიური ნარცისიზმის მოდელი არ არის პრედიქტორი ბინძური, უტილიტარული თუ წმინდა ომის ვარიაბელობისა $R^2_{ADJ}$= -.00 F(1,243)=.61 p > .05. აღნიშნული მოდელიდან, კოლექტიური ნარცისიზმი არ წარმოადგენს ბინძური ($\beta$=-.00, p> .05), უტილიტარული ($\beta$= -.01, p> .05) და წმინდა ომის ($\beta$=-.00, p> .05) სანდო პრედიქტორს.

**ცხრილი N6.** *რეგრესიები კოლექტიურ ნარცისიზმსა და უტილიტარული, წმინდა და ბინძური ომების გამართლებას შორის*

| | ბინძური ომი | | | უტილიტარული ომი | | | წმინდა ომი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | *B* | SE | *β* | *B* | SE | *β* | *B* | SE | *β* |
| კოლექტიური ნარცისიზმი | .00 | .00 | .01 | -.00 | .01 | -.01 | -.00 | .01 | -.01 |

ISSN2667-9825(online)

| | | | |
|---|---|---|---|
| $R^2$ | .00 | .00 | .00 |
| *F* | .61 | .67 | .01 |

***p < .05. **p < .01**

## შედეგების განხილვა

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა დაედგინა მიმართებები ომის გამართლებას, კოლექტიურ ნარცისიზმსა და კონფლიქტის გადაჭრის სტილებს შორის. მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის შედეგად, კვლევის ფარგლებში შემუშავებული ჰიპოთეზების უმეტესი ნაწილი ემპირიულად დადასტურდა.

პირველი ჰიპოთეზა - კოლექტიური ნარცისიზმი წინასწარმეტყველებს უტილიტარული, წმინდა და ბინძური ომის გამართლებას - არ დადასტურდა. თავდაპირველი ვარაუდით, კოლექტიური ნარცისიზმს, რომელიც ძალადობრივ ექსტრემიზმთან, პოპულისტური პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების მხარდაჭერასთან თუ საპასუხო აგრესიულობასთან ასოცირდება (Golec de Zavala, Dyduch-Hazar, & Lantos, 2019), უნდა ეწინასწარმეტყველებინა ისეთი ომების გამართლება, რომლებიც მიზნობრივად თუ საშუალებით შეუზღუდავი და არაეთიკურია. განსხვავებული შედეგები აჩვენა კვლევამ, რომელიც მიზნად ისახავდა შეესწავლა კოლექტიური ნარცისიზმის გავლენა სამხედრო აგრესიის მხარდაჭერასთან მიმართებით (Golec de Zavala et al., 2009). დადასტურდა, რომ კოლექტიური ნარცისიზმი ნამდვილად არის დესტრუქციული ქმედებებისა და სამხედრო აგრესიის მხარდაჭერის პრედიქტორი (Golec de Zavala et al., 2009). აგრეთვე, კვლევაში, რომელიც მიზნად ისახავდა შეემოწმებინა კოლექტიური ნარცისიზმის გავლენა რუსეთ-უკრაინის ომის მხარდაჭერასთან მიმართებით, გამოვლინდა, რომ ეს უკანასკნელი ნამდვილად იყო დაკავშირებული თავდასხმებისა და ომის გამართლებასთან (Brown & Marinthe, 2024). საბოლოოდ, კოლექტიური ნარცისიზმი ამ ორ კვლევაში ნამდვილად პროგნოზირებს ომის მორალური ეთიკით გაუმართლებელი შეიარაღებული კონფლიქტების, ძალადობრივი ქმედებებისა და კონფლიქტების წამომწყები ლიდერების მხარდაჭერას (Brown & Marinthe, 2024).

მიღებული შედეგების შეუსაბამობა ჩვენს კვლევასა და აწ უკვე არსებულს შორის, შესაძლოა განპირობებული იყოს იმითაც, რომ ომის გამართლებაზე ზემოქმედებს სხვა ფსიქო-სოციალური ფაქტორებიც, რომლებიც ამ კვლევაში არ ყოფილა გამოკვეთილად გათვალისწინებული. აგრეთვე, ყურადსაღებია კულტურული კონტექსტი და მისი მახასიათებლები, რაც სამომავლო კვლევებშია გასათვალისწინებელი.

ჰიპოთეზები - კოლექტიური ნარცისიზმის ზრდასთან ერთად იზრდება კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილი - დადასტურდა. ეს შედეგი მოსალოდნელი გახლდათ, რადგან კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილი ყველაზე მეტად ასოცირდება (დანარჩენ ოთხთან შედარებით), ნებისმიერ გზით, საკუთარი ინტერესების გატარებასთან (De Dreu et al., 2001). ამასთან მიმართებით, როგორც ზემოხსენებულ მსჯელობებში მრავლადაა ხაზსგასმული, კოლექტიური ნარცისიზმი მოიაზრებს საკუთარი ჯგუფის ინტერესების მაქსიმალურად გატარება-დაცვას, მაშინაც თუ ეს

ISSN2667-9825(online)

ეხება სოციალურ-ეთიკურად მიუღებელ ქმედებების მხარდაჭერას (Golec de Zavala et al., 2009). შედეგებიდან გამომდინარე, კოლექტიური ნარცისიზმი არა მხოლოდ ჯგუფთაშორის მტრობასთან ასოცირდება, არამედ დაკავშირებულია კონფლიქტისას კონკრეტული ქცევითი ტენდენციების გამოვლენასთან. ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად კვლევები არ ჩატარებულა, თუმცა მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ის, რომელშიც გამოვლინდა, რომ მაღალი ნარცისიზმის მქონე პირები ნაკლებად არიან მიდრეკილნი თანამშრომლობაზე დაფუძნებული კონფლიქტის გადაჭრის სტილისკენ (Lynch et al., 2022). კონკრეტულად, ინდივიდები უფრო მეტად ავლენდნენ მეტოქეობას სხვა გუნდების მიმართ და ორიენტირებულნი იყვნენ თავიანთი ჯგუფის კომპეტენტურობის გამოვლენაზე (Lynch et al., 2022). ეს ყოველივე ეხმიანება კოლექტიური ნარცისიზმის იდეასაც, რომელიც სწორედ რომ საკუთარი ჯგუფის დომინაციის ხაზგასმასთან ასოცირდება (Golec de Zavala et al., 2016).

კონფლიქტის გადაჭრის სტილებისა და ომის გამართლების კავშირის შესწავლისას გამოვლინდა, რომ იძლებითი სტილი დადებით კორელაციაშია ბინძური ომის გამართლებასთან, ხოლო პრობლემის მოგვარების სტილი - უარყოფითში. აღნიშნული შედეგები ლოგიკურია თითოეულის შინაარსის გათვალისწინებით. როგორც უკვე აღინიშნა, იძულების მეთოდი დაკავშირებულია საკუთარი აზრის გატანასთან, მუქარასთან, სარგებლის მოპოვებასთან, „ნებისმიერ ფასად“ გამარჯვებასთან და პიროვნებისთვის სასიკეთო შედეგების მიღწევასთან (Lynch et al., 2022). ამის საპირისპიროდ, პრობლემის მოგვარების სტილი მოიაზრებს ორივე მხარისთვის შუამავალი გამოსავლის პოვნას და გამოსავალზე მსჯელობას (Lynch et al., 2022). ამათთან მიმართებით, ბინძური ომი დაკავშირებულია ისეთი სამხედრო ქმედებებთან, როგორიცაა: ჯარისკაცების წამება, ბირთვული თუ ქიმიური იარაღის გამოყენება, სამოქალაქო სამიზნეებზე თავდასხმა (Nowak et al., 2022) და, მოკლედ, იდეურად, ნებისმიერ ფასად გამარჯვების მოპოვებას მოიაზრებს. უფრო მეტიც, ეს არის ,,ომი წესების გარეშე“ და ეს ყოველივე მიესადაგება იძულებითი მეთოდების შინაარსს. აღნიშნული ცვლადების კავშირის შესწავლასთან მიმართებით, კვლევები არ ჩატარებულა, რაც სამომავლო პერსპექტივებისთვის ყურადსაღებია. ეს ყოველივე შედეგების ღირებულებასაც უსვამს ხაზს.

სქესთაშორისი განსხვავებების კვლევისას, მხოლოდ უტილიტარული ომის გამართლებასთან მიმართებით გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა და დადასტურდა, რომ კაცები უფრო მეტად ამართლებენ უტილიტარულ ომს, ვიდრე ქალები. აღნიშნული შედეგები შეგვიძლია, გარკვეული თვალსაზრისით, დავუკავშიროთ კვლევას, რომელიც ეყრდნობა სოციალური როლების თეორიას. მის მიხედვით, კაცები უფრო მეტად მიიჩნევიან აგრესიული და პრაგმატული გადაწყვეტილებების მიმღებლებად (Eagly & Wood, 1999). უტილიტარული ომი მოიაზრებს პრაგმატულ საომარ მოქმედებებს, როგორიც შეიძლება იყოს შეიარაღებულ კონფლიქტში მატერიალური რესურსების დაზიანება (Nowak et al., 2022). ამ ცვლადებს შორის პირდაპირი კორელაცია არსებულ კვლევებში შესწავლილი არ არის, რაც ხაზს უსვამს წინამდებარე კვლევის ღირებულებას და სამომავლოდ შესწავლის აუცილებლობას.

ISSN2667-9825(online)

## დასკვნა

აღნიშნული კვლევა საშუალებას იძლევა ვისაუბროთ ცვლადების - ომის გამართლება, კონფლიქტის გადაჭრის სტილები და კოლექტიური ნარცისიზმი - ურთიერთკავშირზე. მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიური ნარცისიზმი ომის გამართლების პრედიქტორად არ გვესახება, მნიშვნელოვანია სხვა შედეგების გათვალისწინება, როგორიცაა: კოლექტიური ნარცისიზმის კავშირი კონფლიქტის გადაჭრის იძულებით სტილთან, ომის გამართლება და იძულებითი თუ პრობლემის გადაჭრის მეთოდები და სქესთაშორისი განსხვავებები. აღმოჩნდა, რომ კონფლიქტის გადაჭრის იძულებითი სტილი დაკავშირებულია კოლექტიურ ნარცისიზმთან და ბინძური ომის გამართლებასთან; პრობლემის მოგვარების სტილი კი, პირიქით, ამცირებს ბინძური ომის გამართლების ალბათობას. აგრეთვე, მნიშვნელოვანია სქესთაშორისი განსხვავებები, რომლებიც დაკავშირებულია უტილიტარული ომის გამართლებასთან. არსებული მონაცემები რელევანტური შესაძლოა იყოს მკვლევარებისთვის, რომლებიც შეისწავლიან პოლიტიკური, ფსიქოლოგიური თუ სოციალური თემებს.

## კვლევის შეზღუდვები

კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვაა მცირე შერჩევა, რადგან მასში მონაწილეობა მიიღო 245-მა რესპონდენტმა. ეს ყოველივე არ გვაძლევს მიღებული შედეგების განზოგადებისა და ზოგად კანონზომიერებებზე საუბრის საშუალებას. ამასთანავე, კვლევის ფარგლებში, მონაწილეები ხელმისაწვდომობის პრინციპით შეირჩნენ, მათ დისტანციურად შეავსეს კითხვარი, რაც მასში სრულფასოვანი ჩართულობის გაკონტროლებისთვის ხელისშემშლელია. სამომავლო კვლევებში მნიშვნელოვანია სხვა ცვლადებს შორის კავშირის შემოწმება, კულტურული და ფსიქო-სოციალური კონტექსტის გათვალისწინება კვლევის გამრავალფეროვნების მიზნით.

## პრაქტიკული გამოყენება

წინამდებარე კვლევის ღირებულებას ხაზს უსვამს ფაქტი, რომ ცვლადები - ომის გამართლება, კოლექტიური ნარცისიზმი და კონფლიქტის გადაჭრის სტილები - ერთ კონტექსტში შესწავლილი არ ყოფილა. აგრეთვე, კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგებს მნიშვნელოვანი გამოყენება ექნება პოლიტიკური ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიისა თუ სხვა სფეროებში. აგრეთვე, კონფლიქტის გადაჭრის სტილებისა და კოლექტიური ნარცისიზმის კავშირი შესაძლოა რელევანტურ დასკვნებს გვაძლევდეს ორგანიზაციული ფსიქოლოგებისთვის და სამუშაო ჯგუფებისთვის.

ISSN2667-9825(online)

## გამოყენებული ლიტერატურა:

Brewer, M. B. (1999). The psychology of prejudice: Ingroup love and outgroup hate? *Journal of Social Issues, 55*, 429–444.

Brown, G., & Marinthe, G. (2024). We're all the same: Collective narcissists' cross-national support for Putin and Russian military attacks. *International Review of Social Psychology, 37*(1), 1–17. https://doi.org/10.5334/irsp.761

De Dreu, C. K. W., Evers, A., Beersma, B., Kluwer, E. S., & Nauta, A. (2001). A theory-based measure of conflict management strategies in the workplace. *Journal of Organizational Behavior, 22*(6), 645-668.

Duckitt, J., Wagner, C., du Plessis, I., & Birum, I. (2002). The psychological bases of ideology and prejudice: Testing a dual process model. *Journal of Personality and Social Psychology, 83*(1), 75–93. https://doi.org/10.1037/0022-3514.83.1.75

Eagly, A. H., & Wood, W. (1999). The origins of sex differences in human behavior: Evolved dispositions versus social roles. *American Psychologist, 54*(6), 408–423. https://doi.org/10.1037/0003-066X.54.6.408

Eidelson, R., & Eidelson, J. (2003). Dangerous ideas: Five beliefs that propel groups toward conflict. *American Psychologist, 58*(3), 182–192. https://doi.org/10.1037/0003-066X.58.3.182

Fromm, E. (1973). *The anatomy of human destructiveness.* New York, NY: Holt, Rinehart & Winston.

Golec de Zavala, A., Cichocka, A., Eidelson, R., & Jayawickreme, N. (2009). Collective narcissism and its social consequences. *Journal of Personality and Social Psychology, 97*(6), 1074–1096. https://doi.org/10.1037/a0016904

Golec de Zavala, A., & Lantos, D. (2020). Collective Narcissism and Its Social Consequences: The Bad and the Ugly. https://doi.org/10.1177/0963721420917703

Golec de Zavala, A., Dyduch-Hazar, K., & Lantos, D. (2019). Collective narcissism: Political consequences of investing self-worth in the ingroup's image. *Advances in Political Psychology, 40,* 37–74.

Inglehart, R., & Norris, P. (2016). Trump, Brexit, and the rise of populism: Economic have-nots and cultural backlash (July 29, 2016) *HKS Working Paper No. RWP16-026.* https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2818659

ISSN2667-9825(online)

Kowalski, E., Zemojtel-Piotrowska, M., & Brud, P. (2024). Falcons or Pigeons? Grandiose Narcissism, Personal Values, and Attitudes Towards War and Peace. https://www.researchgate.net/profile/Piotr-Brud/publication/382340195_Falcons_or_Pigeons_Grandiose_Narcissism_Personal_Values_and_Attitudes_Towards_War_and_Peace/links/66a02baf8be3067b4b150ec7/Falcons-or-Pigeons-Grandiose-Narcissism-Personal-Values-and-Attitudes-Towards-War-and-Peace.pdf

Kteily, N., Bruneau, E., Waytz, A., & Cotterill, S. (2015). The ascent of man: Theoretical and empirical evidence for blatant dehumanization. *Journal of Personality and Social Psychology, 109*(6), 901–931. https://doi.org/10.1037/pspp0000048

Lazar, S. (2017). Just war theory: Revisionists versus traditionalists. https://www.annualreviews.org/content/journals/10.1146/annurev-polisci-060314-112706

Lopez, A. C., & Johnson, D. D. P. (2017). The determinants of war in international relations. *Journal of Economic Behavior & Organization.* https://doi.org/10.1016/j.jebo.2017.05.003

Lynch, J., McGregor, A., & Benson, A. J. (2022). My way or the highway: Narcissism and dysfunctional team conflict processes. *Group Processes & Intergroup Relations, 25*(4), 1157–1171. https://doi.org/10.1177/13684302211001944

Marchlewska, M., Cichocka, A., Panayiotou, O., Castellanos, K., & Batayneh, J. (2018). Populism as identity politics: Perceived in-group disadvantage, collective narcissism, and support for populism. *Social Psychological and Personality Science*, *9*(2), 151–162. https://doi.org/10.1177/1948550617732393

McMahan, J. (2005). Just cause for war.

Mischel, W. (1968). *Personality and assessment.* Wiley.

Mols, F., & Jetten, J. (2016). Explaining the appeal of populist right-wing parties in times of economic prosperity. *Political Psychology, 37*(2), 275–292. https://doi.org/10.1111/pops.12258

Nowak, B., Brzóska, P., Żemojtel-Piotrowska, M., Rudnev, M., Piotrowski, J., Jonason, P., Milfont, T. L., Boehnke, K., Saroglou, V., Sedikides, C., Mamuti, A., Khachatryan, N., Ahmed, O., Novikau, A., Riđić, O., Knezovic, E., Gouveia, V. V., Aminnuddin, N. A., Wlodarczyk, A., … Hassan, M. S. (2022). Beliefs in just war: Cross-cultural studies. https://osf.io/f3wh7/

Orwell, G. (1984). *1984* (D. Akrianidze, Trans.). [Publisher]. (Original work published 1949).

Skitka, L. J. (2010). The psychology of moral conviction. *Social and Personality Psychology Compass, 4*(4), 267–281. https://doi.org/10.1111/j.1751-9004.2010.00254.x

ISSN2667-9825(online)

Stahn, C. (2006). ‘Jus ad bellum,’ ‘jus in bello’ . . . ‘jus post bellum’? Rethinking the conception of the law of armed force. *European Journal of International Law, 17*(5), 921–943. https://doi.org/10.1093/ejil/chl037

Sussmann, N. (2013). Can just war theory delegitimate terrorism? *European Journal of Political Theory, 12*(4), 425–446. https://doi.org/10.1177/1474885113490772

Taggart, P. (2004). Populism and representative politics in contemporary Europe. *Journal of Political Ideologies, 9*(3), 269–288. https://doi.org/10.1080/1356931042000263528

Watkins, H. M. (2020). The morality of war: A review and research agenda. *PubMed.* https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/32004108/

Wohl, M. J. A., & Branscombe, N. R. (2009). Group threat, collective angst, and ingroup forgiveness for the war in Iraq. *Political Psychology*

Wood, V. F., & Bell, P. A. (2008). Predicting interpersonal conflict resolution styles from personality characteristics. *Journal Name, Volume(Issue).* https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0191886908000998

ISSN2667-9825(online)

# დანართი

## 1 დანართი

### კოლექტიური ნარცისიზმის სკალა

ავტორები: Agnieszka Golec de Zavala, Aleksandra Cichocka, Roy Eidelson, Nuwan Jayawickreme
ციტირება: de Zavala AG, Cichocka A, Eidelson R, Jayawickreme N. Collective narcissism and its social consequences. J Pers Soc Psychol. 2009 Dec;97(6):1074-96.
doi: 10.1037/a0016904. PMID: 19968420.

ინსტრუქცია:

პასუხის გაცემისას გთხოვთ იფიქროთ ქართველებზე, როგორც თქვენს ჯგუფზე . პასუხები მონიშნეთ შემდეგ სკალაზე: 1. საერთოდ არ ვეთანხმები; 5. სრულიად ვეთანხმები.

ქართული ვერსია:

1. ვისურვებდი, რომ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა დროულად გააცნობიერონ ქართველების ავტორიტეტი
2. ქართველები ვიმსახურებთ განსაკუთრებულ მოპყრობას.
3. ვერ ვიქნები კმაყოფილი მანამ, სანამ ქართველები არ მივიღებთ ყველაფერს, რასაც ვიმსახურებთ
4. მე ვერ მოვისვენებ იქამდე, სანამ ქართველები არ მივიღებთ სათანადო პატივისცემას
5. ძალიან ვბრაზდები როცა სხვები ქართველებს გვაკრიტიკებენ
6. ქართველების გავლენები მსოფლიოში დომინანტური რომ იყოს, მსოფლიო ბევრად უკეთესი იქნებოდა
7. ვბრაზდები, როდესაც ხალხი ვერ ამჩნევს ქართველების მიღწევებს
8. ბევრ ადამიანს ბოლომდე არ ესმის ქართელი ხალხის მნიშვნელობა
9. ქართველების ფასს ხშირად ვერ ხვდებიან

## 2 დანართი

### ომის გამართლების სკალა

Nowak, B., Brzóska, P., Żemojtel-Piotrowska, M., Rudnev, M., Piotrowski, J., Jonason, P., Milfont, T. L., Boehnke, K., Saroglou, V., Sedikides, C., Mamuti, A., Khachatryan, N., Ahmed, O., Novikau, A., Riđić, O., Knezovic, E., Gouveia, V. V., Aminnuddin, N. A., Wlodarczyk, A., … Hassan, M. S. (2022). Beliefs in just war: Cross-cultural studies. https://doi.org/10.17605/OSF.IO/F3WH7

ISSN2667-9825(online)

<u>ინსტრუქცია:</u>

ქვემოთ მოცემული კითხვები ეხება ომთან დაკავშირებულ განსხვავებულ მოსაზრებებს - მის მიზეზებს და საშუალებებს. როგორც წესი, მჯერა, ნებისმიერი ომი შეიძლება იყოს სრულიად გამართლებული, სრულიად გაუმართლებელი ანდა ნაწილობრივ გამართლებული. გთხოვთ მიუთითოთ თქვენი დამოკიდებულება თითოეული ქცევის ან დებულების შესახებ.

არასდროსაა გამართლებული 1 2 3 4 5 ყოველთვის გამართლებულია

<u>დებულებები:</u>

1. სხვა ქვეყანაზე თავდასხმა საკუთარ ტერიტორიაზე თავდასხმის საპასუხოდ
2. საკუთარ ქვეყანაში თავდაცვითი ომის წარმოება საკუთარი მშვიდობიანი მოსახლეობის მონაწილეობით

შემოუსაზღვრავი მიზეზი

3. სხვა ქვეყანაზე თავდასხმა ამ ქვეყანაში მცხოვრები საკუთარი მოქალაქეების უფლებების დარღვევის საპასუხოდ
4. სხვა ქვეყანაზე თავდასხმა მათთან სრულად დემოკრატიული მმართველობის დანერგვის მიზნით
5. სხვა ქვეყანაზე თავდასხმა წინა სამხედრო კონფლიქტებში დაკარგული მიწების დასაბრუნებლად
6. სხვა ქვეყანაზე თავდასხმა საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად
7. სხვა ქვეყანაზე თავდასხმა საკუთარი ეკონომიკური ან გადარჩენის ინტერესების დასაცავად (მაგ. წვდომა წყლის რეზერვუარებზე, ბუნებრივ რესურსებზე)

შემოსაზღვრული მიზანი

8. ომის წარმოება, როდესაც ადამიანი დარწმუნებულია, რომ საკუთარ მოქალაქეებს შორის იქნება მაღალი დანაკარგი
9. ომის წარმოება, როდესაც ადამიანი დარწმუნებულია, რომ მტრის მშვიდობიან მოსახლეობაში იქნება დიდი დანაკარგი
10. დაპყრობილი მოსახლეობისგან ოკუპანტი არმიისთვის საკვების ჩამორთმევა/რეკვიზიცია
11. დაპყრობილი მოსახლეობისგან ოკუპანტი არმიისთვის მატერიალური საქონლის ჩამორთმევა/რეკვიზიცია
12. მოწინააღმდეგე არმიის მიერ დატყვევებული ჯარისკაცების პერსონალური მონაცემებისა და სურათების გამჟღავნება

ISSN2667-9825(online)

13. მტრის სამრეწველო და ძვირადღირებული საქონლის გადასაზიდი მანქანების განადგურება
14. მტრის ტვირთის განადგურება, რომელიც შეიძლება შეიცავდეს იარაღის წარმოებისთვის საჭირო საშუალებებს
15. მტრისთვის მნიშვნელოვანი ადგილებისა და სიმბოლოების განადგურება (ქანდაკებები, სალოცავი ადგილები, ძეგლები)
16. ეგრეთ წოდებული „დამწვარი მიწის“ ტაქტიკის გამოყენება („გაანადგუროს ყველაფერი, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს მტრისთვის“) მოწინააღმდეგის მოქმედებების შეფერხების მიზნით.
17. სამხედრო ოპერაციების ფარგლებში სხვა ქვეყანაში სამხედრო ობიექტებზე თავდასხმა
18. სამოქალაქო სამიზნეებზე თავდასხმა მტრის დასაშინებლად
19. ქიმიური იარაღის გამოყენება სამხედრო ოპერაციების ფარგლებში
20. ბირთვული იარაღის გამოყენება სამხედრო ოპერაციების ფარგლებში
21. ომის ტყვეების წამება ჯარისთვის სასარგებლო ინფორმაციის მოპოვების მიზნით
22. საბრძოლო ტერიტორიებიდან დაჭრილი ჯარისკაცების ევაკუაციის დაშვება

## 3 დანართი
## კონფლიქტის გადაჭრის სტილის სკალა

De Dreu, C. K. W., Evers, A., Beersma, B., and et al., (2001). “A Theory-Based Measure of Conflict Management Strategiesin the Workplace,” Journal of Organizational Behavior 22 (2001), pp. 645–668. Copyright © 2001 John Wiley & Sons Limited. https://www.researchgate.net/publication/368789649_Understanding_Conflict_Management_Styles_Of_Science_Teachers

მიზანი: ეს თვითშეფასების კითხვარი შექმნილია იმისათვის, რომ შეძლოთ კონფლიქტის მოგვარების თქვენთვის მისაღები სტილის იდენტიფიცერება.

ინსტრუქცია: გაეცანით ქვემოთ მოცემულ დებულებებს და მონიშნეთ პასუხი, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს დამოკიდებულებას ამ დებულების მიმართ.

1. ვემორჩილები მოწინააღმდეგის სურვილებს.
2. ვცდილობ ვიპოვო ორივე მხარისთვის მისაღები გამოსავალი
3. ვცდილობ ჩემი აზრის გატანას

ISSN2667-9825(online)

4. ვტრიალებ საკითხის ირგვლივ, მანამ სანამ არ ვიპოვი ჩემთვის და მოწინააღმდეგესთვის მისაღებ გამოსავალს
5. თავს ვარიდებ ჩვენს განსხვავებულობასთან დაკავშირებულ დაპირისპირებას
6. ვეთანხმები/ვნებდები მეორე მხარეს
7. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ კომპრომისს უნდა მივაღწიოთ
8. ვეძებ სარგებელს
9. ვიცავ ჩემს და სხვების მიზნებსა და ინტერესებს
10. თავს ვარიდებ განხვავებული აზრის გამოხატვას, რამდენადაც ეს შესაძლებელია
11. ვცდილობ მოვერგო მეორე მხარის საჭიროებებს/სურვილებს
12. დაჟინებით მოვითხოვ, რომ ორივე მხარემ დავთმოთ რაღაც
13. ვიბრძვი ჩემთვის სასიკეთო შედეგისთვის
14. ვუღრმავდები ორივე მხარის შეხედულებებს, რათა ვიპოვო ოპტიმალური გამოსავალი
15. ვცდილობ განსხვავებები ნაკლებად შესამჩნები გავხადო
16. ვერგები მეორე მხარის აზრებსა და ინტერესებს
17. ყოველთვის ვცდილობ მივაღწიო 50/ 50 -ზე კომპრომისს
18. ყველაფერს ვაკეთებ გამარჯვებისთვის
19. მაქსიმალურად ვცდილობ, ვიპოვო ისეთი გამოსავალი, რომელიც კარგი იქნება როგორც ჩემთვის, ასევე მოწინააღმდეგე მხარისთვის
20. ვცდილობ თავი ავარიდო სხვებთან დაპირისპირებას